

სსიპ-ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად

რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება №:125/01-01 საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრაზე (3 ვაკანსია), „ალგებრა-გეომეტრიის“ კათედრაზე (1 ვაკანსია) და „მექანიკის“ კათედრაზე (1 ვაკანსია) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების 1 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N 1

თბილისი, 12 სექტემბერი, 2020 , 15:30 სთ.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5: თამაზ თადუმაძე (კომისიის თავმჯდომარე, თსუ პროფესორი); მალხაზ ბაკურაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თსუ პროფესორი); ნატალია ჩინჩალაძე (კომისიის მდივანი, თსუ ასოცირებული პროფესორი); თენგიზ კოპალიანი (თსუ ასოცირებული პროფესორი); ალექსანდრე აპლაკოვი (სეუ ასოცირებული პროფესორი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრაზე (3 ვაკანსია), „ალგებრა-გეომეტრიის“ კათედრაზე (1 ვაკანსია), „მექანიკის“ კათედრაზე (1 ვაკანსია) ასისტენტ პროფესორის ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მე-2 ეტაპების შედეგების განხილვა და კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოსმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების 1 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებმა აპარატმა, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, გადმოსცა კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია დალოქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1.

ა) მათემატიკური ანალიზის კათედრის კონკურსანტი ანა დანელია.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ანა დანელიას განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება -მაღალი, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-6 , სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-3; ციტირების ინდექსი - h - ინდექსი - 2, g-ინდექსი-1; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-1; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება -დაბალი, კონკურსანტმა იცის კომპიუტერული პროგრამები.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა დამატებითი ინფორმაცია, კონკურსანტს სხვადასხვა დროს მიღებული აქვს პრეზიდენტის გრანტი და პრეზიდენტის სტიპენდია. ფლობს უცხო ენებს.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: ანა დანელია..

ბ) მათემატიკური ანალიზის კათედრის კონკურსანტი შალვა ზვიადაძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის შალვა ზვიადაძის განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისია;

წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება -მაღალი, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-11, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-5, პატენტი - 1; ციტირების ინდექსი - h - ინდექსი - 3; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-1; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; ბოლო 6 ქლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3 პროექტში; შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება -მაღალი, კონკურსანტი არის 2 დოქტორანტის ხელმძღვანელი; 5 საბაკალავრო ნაშრომის, 3 სამაგისტრო ნაშრომისა და 2 სტუდენტური პროექტის ხელმძღვანელი. ფლობს კომპიუტერთან მუშაობის უნარჩვევებს, იცის კომპიუტერული პროგრამები და უცხო ენები. კომისიას მიაჩნია, რომ შ. ზვიადაძე არის მაღალი კვალიფიკაციის ლექტორი.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას. მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: შალვა ზვიადაძე

გ) „მათემატიკური ანალიზის“ კათედრის კონკურსანტი გივი ნადიბაიძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები. შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის გივი ნადიბაიძის განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება - საშუალო (სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში - 1, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-12). მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში-4, ბოლო 6 წლის განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთი პროექტის შემსრულებელი; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი, კონკურსანტი არის

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის თანალიდერი. მიღებული აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს ჯილდოები მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წარმატებებისათვის საერთაშორისო ოლიმპიადებში, ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს. შეუძლია ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ-ში სწავლით. იგი ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას, თსუ-ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას, კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებზე, რომლებიც არ ჰქონდა დაფიქსირებული ანკეტაში.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკური ანალიზის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: გივი ნადიზაიძე.

დ) „ალგებრა-გეომეტრიის“ კათედრის კონკურსანტი რუსლან სურმანიძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის რუსლან სურმანიძის განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-მაღალი. კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული და შემოთავაზებული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია 3 სილაბუსი, რომელთა შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში- კონკურსანტმა მიიღო შეფასება - საშუალო (მნიშვნელოვანი სტატიების რაოდენობა - 3); ციტირების ინდექსი - h - ინდექსი - 1, g - ინდექსი - 2;. მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში-2, ბოლო 6 წლის განმავლობაში იყო CNRS-ის ერთი პროექტის შემსრულებელი; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა. შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი, კონკურსანტი არის აბიტურიენტებისათვის მათემატიკაში დამხმარე სახელმძღვანელოს, მათემატიკაში მოსწავლისათვის და მასწავლებლისთვის სკოლის დამხმარე სახელმძღვანელოს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გეომეტრიაში ამოცანათა კრებულის და ალგებრაში ამოცანათა კრებულის თანაავტორი, ფლობს რუსულ და ინგლისურ

ენებს, საოფისე პროგრამებს.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას, კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებზე, რომლებიც არ ჰქონდა დაფიქსირებული ანკეტაში.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ალგებრა-გეომეტრიის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: **რუსლან სურმანიძე.**

ე) „მექანიკის“ კათედრის კონკურსანტი მაია სვანაძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამაზ თაღუმაძის ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის მაია სვანაძის განათლება აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი და შეთავსებითი სამუშაო ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება-**მაღალი**. კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია 1 სილაბუსი, რომელიც შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი** (პუბლიკაციების რაოდენობა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 10, მნიშვნელოვანი სტატიების რაოდენობა -

15); ციტირების ინდექსი - **h - ინდექსი - 5 (Scopus), 9 (Google Scholar)**; მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე-7, ადგილობრივ კონფერენციებზე - 3, ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 5 გრანტში; თანამშრომლობს გოტინგენის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტთან.

კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შეესაბამისობაშია დარგთან.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, კონკურსანტი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის “Journal of Thermal Stresses” სარედაქციო კოლეგიის წევრი, აგრეთვე ჟურნალის „Transaction of A. Razmadze Mathematical Institute“ მმართველი რედაქტორი, 2016-2019 წლებში იყო მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის ნაკრები გუნდის წევრების შესარჩევი სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.


გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას, კონკურსანტი ფლობს უცხო ენებს და კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც არ ჰქონდა დაფიქსირებული ანკეტაში. მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მექანიკის“ კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: მაია სვანაძე.


საკითხი 2. კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

თამაზ თადუმაძე (კომისიის თავმჯდომარე)



მალხაზ ბაკურაძე (თავმჯდომარის მოადგილე)



ნატალია ჩინჩალაძე (კომისიის მდივანი)



თენგიზ კოპალიანი



ალექსანდრე აპლაკოვი

